სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/105

ქ. თბილისი 6 ივნისი 2025 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სტრუქტურული რეორგანიზაციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (05.06.25 №4) სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის, ზურაბ გვიშიანის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 06 ივნისის №01-05-02/14 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. განხორციელდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტზე არსებული სამშენებლო მანქანების და სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ტექნოლოგიების და საშენი მასალების აკადემიური დეპარტამენტების რეორგანიზაცია სამშენებლო მანქანების №108 აკადემიური დეპარტამენტის სამრეწველო მშენებლობის ტექნოლოგიების და საშენი მასალების №103 აკადემიურ დეპარტამენტთან შეერთების გზით.
2. განხორციელდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტზე არსებული მშენებლობის კომპიუტერული დაპროექტების და აგული სოხაძის სახელობის სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის აკადემიური დეპარტამენტების რეორგანიზაცია მშენებლობის კომპიუტერული დაპროექტების №106 აკადემიური დეპარტამენტის აგული სოხაძის სახელობის სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის №102 აკადემიურ დეპარტამენტთან შეერთების გზით.
3. მოწონებული იქნეს ფაკულტეტის სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცვლილებები ფაკულტეტის საშტატო განრიგში და დებულებაში
4. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
5. დადგენილება ძალაშია 2025/2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან.
6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**